



**სააკველაციო  
საჩივარი  
აღმინისტრაციულ საქმეზე**

თბილისის სააკველაციო  
სასამართლო

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

**აკველანტი: შპ60936A-1**

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"	204952676	თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული, ბინა 13
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპ60936A-2
-----	-	
ალტერნატიული მისამართი შპ60936A-3	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	
29 27 73	22 38 74	greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**აკველანტის წარმომადგენელი: შპ60936A-4**

ნინო გუჯარაიძე	01015010047	თბილისი, 0179, დ. ბაქრაძის ქ. 19
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
-----		თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული, ბინა 13
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	
29 27 73	899902520	22 38 74 ngujaraidze@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**მოწინააღმდეგე მხარე: შპ60936A-5**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		თბილისი. ჭავჭავაძის ქ.№12
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შპ60936A-6
-----		
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი	
-----	-----	-----
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

**საკონტაქტო პირი: შპ60936A-7**

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
-----	-----	-----	-----

შპ60936A-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: [forms@hcoj.gov.ge](mailto:forms@hcoj.gov.ge) სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge)

# სასამართლო დანაბრებულ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი **შპნი/შპნა-9**

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შპნი/შპნა-10

## გასაჩივრებული გადაწყვეტილება

შპნი/შპნა-11

სასამართლოს დასახელება: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

განმხილველი მოსამართლე: ნანა დარასელია

საქმის ნომერი: 3/4261-10

მიღების თარიღი: 2011 წლის 11 თებერვალი

### გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად

ნაწილობრივ

რომელ ნაწილში?

იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი.

შპნი/შპნა-12

### სააპელაციო მოთხოვნა:

1. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი სრულად.

შპნი/შპნა-13

## გასაჩივრებელი გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

შპს 0365-14 შპს 0365-15

### 1. ფაქტობრივი უსწორობა

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.2.1 პუნქტით არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულების 14.1 მუხლის თანახმად არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას წილის ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე და აქედან გამომდინარე, არასწორად დაასკვნა, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის კანონისმიერი ვალდებულება მოპასუხეს ხელშეკრულების მხარეთა თანხმობის გარეშე არ გააჩნია. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია და სათანადო შეფასება არ მისცა იმ ფაქტობრივ გარემოებას რომ ხელშეკრულების 14.1 პუნქტით მხარეთათვის დაწესებულია შეზღუდვა "წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განცხადების გაკეთების თაობაზე მხოლოდ ამავე ხელშეკრულების 14.2, პუნქტის გათვალისწინებით, ხოლო ხელშეკრულების 14.2 პუნქტის თანახმად კი ორივე მხარე უფლებამოსილია გააკეთოს განცხადება "წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ, თუ ეს მოითხოვება სათანადო იურისდიქციის მქონე კანონმდებლობით. ამდენად, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების არასრულად და არასწორად დადგენის გამო გამოტანილია არასწორი გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

### მტკიცებულება:

2008 წლის 14 მაისს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტოპლექს ენერჯი ლიმიტედ“-ს შორის შპს „რუსთაველაკანალის“ 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის“ 100% წილის, შპს „საქწყალკანალის“ 100% წილისა და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილის ნასყიდობის შესახებ დადებული ხელშეკრულება (საქმის განხილვის პროცესში ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ დამატებითი მტკიცებულების სახით წარადგინა)

### 2. ფაქტობრივი უსწორობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია ისე იქნა მიჩნეული კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციად, რომ დადგენილი არ არის ფაქტობრივი გარემოება დაცულია თუ არა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნების შესახებ კანონით დადგენილი წესი. საქმეზე წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება რომ დაცულია ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნების შესახებ კანონით დადგენილი წესი. საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების შესახებ აქტიურად მიეთითებოდა სარჩელში, ახსნა-განმარტებასა და საქმის განხილვისას მოსარჩელის მიერ.

### მტკიცებულება:

სარჩელი, სასამართლო სხდომის ოქმი

## ახალი ფაქტობრივი გარემოებები

შპს 0365-16 შპს 0365-17 შპს 0365-18

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:

## გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შპ607365-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომელიც გადაწყვეტილებაში არის აღნიშნულნი;
- გადაწყვეტილების გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში აღრე მონაწილეობდნენ;
- საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება:

## გასაჩივრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შპ607365-20 შპ607365-21

1. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (მარტოოდენ ნორმაზე მითითება, მისი შინაარსიდან გამომდინარე სასამართლოს მიერ დასკვნის გაკეთების გარეშე ფაქტიურად ნიშნავს ამ ნორმის გამოყენებლობას). კერძოდ: საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. მაშასადამე, აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე ინფორმაცია არის დახურული, თუ ამას პირდაპირ ითვალისწინებს კანონი და დადგენილი წესით მიკუთვნებულია სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას. მოპასუხემ შესაგებელში, ასევე საქმის განხილვისას ვერ მიუთითა და ვერ დაამტკიცა მითითებული ნორმის დანაწესის შესრულების შესახებ, შესაბამისად სასამართლოს დასკვნა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

2. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37.2 მუხლი და არასწორად დაასკვნა, რომ მოსარჩელეს ამ ნორმიდან გამომდინარე მოპასუხისათვის არ წარუდგენია შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობა. იმის გათვალისწინებით, რომ

დაცული არ არის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიკუთვნების შესახებ კანონით დადგენილი წესი, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არის ღია, შესაბამისად მოსარჩელეს ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილი წინაპირობების დაცვის ვალდებულება აღარ ეკისრებოდა.

3. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მარტლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" ორჰუსის კონვენციის 2.3 მუხლი, რომლის თანახმადაც "გარემოსდაცვითი ინფორმაცია" გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა . . . . წყალი . . . , ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეტანხმებები გარემოს დაცვის სფეროში . . . ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე უდავოდ დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ 2010 წლის 29 სექტემბრის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია განეკუთვნება გარემოსდაცვით ინფორმაციას, რომელიც ამავე კონვენციის 4.1 მუხლის სზაკ-ის 42-ე მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" .

4. სასამართლომ განცხადებით მოთხოვნილი წყლის ხარისხის ამსახველი დოკუმენტების გადმოცემის ნაწილში დააკმაყოფილა სარჩელი იმ საფუძველზე, რომ მხოლოდ აღნიშნული წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას, თუმცა ორჰუსის კონვენციის 2.3 პუნქტით ასევე გარემოსდაცვით ინფორმაციას განეკუთვნება ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეტანხმებები გარემოს დაცვის სფეროში . . . . ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. ამდენად, სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის შინაარსი, ხასიათი და სრულიად დაუსაბუთებელი, უსაფუძველო გადაწყვეტილება გამოიტანა სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში.

5. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ასევე არ დააკმაყოფილა სარჩელის მოთხოვნა იმ კრიტერიუმების/პირობების ამსახველი დოკუმენტის ასლის გადმოცემის შესახებ, რომლითაც ხელმძღვანელობს "სამინისტრო" "მყიდველის" მიერ ხელშეკრულების 5.2; 11.1; და 11.5 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ მოპასუხის განმარტებას, რომ აღნიშნული შემოწმდება კომისიურად, ყველა გამყიდველის მიერ, შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაცია ამ ეტაპზე მოპასუხის აღიარებით არ არის მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან დაცული სამინისტროში, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა არის უსაფუძველო. სასამართლოს მოცემული დასკვნა ეწინააღმდეგება სზაკ-ის 2.1 მუხლის "მ" პუნქტის, სასკ-ის 17.1 მუხლის და სსსკ-ის მე-4 მუხლის, 102.3 მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ: მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია შეეხება მხარეთა სახელშეკრულებო ვალდებულების (გარემოსდაცვითი ინფორმაცია) შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის



გადმოცემას, ხელშეკრულების 5.2; 11.1 და 11.5 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის განუხორციელებლობა წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას, რაც არ წარმოადგენს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაუცემლობისა და შესაბამისად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

\*\*\*\*\*

## მტკიცებითი უზამდგომლობები

შპ60/შპ6A-22

მოწმე	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
ექსპერტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი
სპეციალისტი	ფაქტ. გარემოება(ები)	საპატიო მიზეზი

შპ60/შპ6A-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.

1.

შპ60/შპ6A-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შპ60/შპ6A-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამთხოვის თაობაზე.

1.

შპ60/შპ6A-26

## სხვა სახის უზამდგომლობები

შპ60/შპ6A-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

**დიახ**

ვის?

რომელი ენის მცოდნე?

**არა**



1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
რომელი ნორმა?		
მტკიცებულება:		
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
რის საფუძველზე?		
მტკიცებულება:		
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:		
5.		

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

**თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე ღაამთავროთ მორიგებით?**

დიახ	<input checked="" type="checkbox"/>	მორიგების პირობები: წარმოდგენილი იქნება უშუალოდ სასამართლო სხდომაზე.
არა	<input type="checkbox"/>	რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე მეტად მნიშვნელოვანია აპელანტიისათვის.

შპ60/შპ65-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

20 წუთზე მეტი რადგან განსახილველი დავა განეკუთვნება რთულ კატეგორიას.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

II სხდომაში რადგან განსახილველი დავა განეკუთვნება რთულ კატეგორიას.

შპ60/შპ65-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შპ60/შპ65-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შპ60/შპ65-35

## თანდართული საბუთების ნუსხა

შპ60/შპ65-36

შპ60/შპ65-37

ფურცლების საერთო რაოდენობა —

## სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება) და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8.	მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.	სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.	სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12.	სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13.	სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14.	სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:		
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> პუნქტების ჩამონათვალი	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>

**ატვირთვის ბმული:** <http://tbappeal.court.ge/sf> <http://tbappeal.court.ge/sf>

შპსი/შპსა-38

**საიდენტიფიკაციო ნომერი:**

შპსი/შპსა-39

შპსი/შპსა-40 ელ. ფოსტა: [2nd.instance@court.ge](mailto:2nd.instance@court.ge)

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ნინო გუჯარაიძე

22/03/2011 წ.

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი, გვარი

შეკვების თარიღი

შეკვებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შპს 03353-41